გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ
მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

თამარ ქერდიყოშვილი

საქართველოში ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებული პრობლემების სამართლებრივი ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური
ხარისხისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნუნუკა კვანტალიანი
ასოცირებული პროფესორი

გორი, 2019

შ ი ნ ა ა რ ს ი

ტიტულის გვერდი

შინაარსი.....2-3

შესავალი.....4-7

- საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა.....4-5
- კვლევის მიზანი.....6
- ნაშრომის აგებულება.....6-7
- გამოყენებული კვლევის მეთოდი.....6
- ძირითადი წყაროები.....7

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი.....7

თავი I. შვილად აყვანის ცნების ლიტერატურული მიმოხილვა.....8-12

1.1. შვილად აყვანის ცნება.....8-9

1.2. ისტორიული რაკურსი შვილად აყვანის პროცესში.....10-11

1.3. შვილად აყვანის პროცესის შესაბამისობა ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებთან.....11-12

თავი II. შვილად აყვანის პროცესში მონაწილე პირები და მათი ძირითადი უფლებები.....12-15

2.1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.....12-13

2.2. მშვილებელი.....13-14

2.3. გასაშვილებელი ბავშვი.....14-15

თავი III. საქართველოში ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებული პრობლემების სამართლებრივი ანალიზი…….....16-37

3.1 . შვილად აყვანის პროცესში მონაწილე სუბიექტების უფლებების სამართლევრივი ანალიზი.....16-17

3.2. საკანონმდებლო ხარვეზები შვილად აყვანის პროცესში და მათი აღმოფხვრის გზები.....17-32
3.3. შვილად აყვანის ინსტიტუტის ირგვლივ არსებული პრობლემების ანალიზი გლობალურ ჭრილში.....32-37

თავი IV. შვილად აყვანის პროცედურა ქართულ თანამედროვე სამართალში.....37-38
4.1. გადაწყვეტილების რეგისტრაცია.....37
4.2. შვილად აყვანის გაუქმება / ბათილად ცნობა.....37-38

- დასკვნა და რეკომენდაციები.....39-40
- ბიბლიოგრაფია.....41

შესავალი

ადამიანებად ჩვენ გვხდიან დედა და მამა,

ადამიანურად კი - აღზრდა.

კარლ ვებერი

საქართველოში შვილად აყვანა საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობას განეკუთვნება, საკანონმდებლო დონეზე კი საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“.

ოჯახი საზოგადოების პირველადი უჯრედია. ადამიანი ოჯახს ქმნის და თავადაც ოჯახში იბადება. დიდია ოჯახის როლი არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების ცხოვრებაშიც ოჯახი უზრუნველყოფს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას და ასრულებს ბავშვების აღზრდის ფუნქიას.[1] ოჯახი არის ადგილი, სადაც იბადებიან, იზრდებიან და ვითარდებიან მომავალი თაობები, ერთი შეხედვით ეს მარტივი და ბუნებრივი პროცესია თუმცა არა ყველასთვის.

საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში მწვავედ დგას უშვილობის პრობლემა. საქართველოში შობადობის მცირე მაჩვენებელმა და მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ მწვავედ დააყენა უშვილოდ დარჩენილ წყვილებს შორის შვილად აყვანის საკითხი.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეეხება შვილად აყვანის პროცესთან დაკავშირებულ პრობლემათა სამართლებრივ ანალიზს. შვილად აყვანის/გაშვილების საკითხები არა მარტო სამოქალაქო სამართლებრივი საკითხებია, არამედ თავის თავში მოიცავს მორალურ და სოციალურ საკითხებსაც, საკვლევი თემის ირგვლივ არსებული პრობლემების

[1] ჩიკვაშვილი შ. (1999) საოჯახო სამართალი. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: „მერიდიანი“. გვ. 7

მრავალასპექტიანობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა არსებული საკითხის დეტალურად განხილვა, თუმა შევეცადე ნაშრომში გადმომეცა ის ძირითადი საკითხები, რაც შვილად აყვანის პროცესის ირგვლივ არსებული პრობლემების აღმოფხვრას უკავშირდება.

ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ისეთი პროცესუალური მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავენ შვილად აყვანის პროცესს, ნაშრომი მოიცავს ერთობ საინტერესო და ამასთანავე განსხვავებულ მოსაზრებებს დამკვიდრებულ/არსებულ პრაქტიკასთან შედარებით. სამართლებრივი თვალსაზრისით, კვლევის აქტუალობა საკმაოდ დიდია არა მარტო თეორიული არამედ პრაქტიკული და მორალურ - სოციალური თვალსაზრისითაც.

დასახელებული თემის შესახებ არსებული ნაშრომებისა და ნორმატიული დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, წარმოდგენილ ნაშრომში გლობალურ ჭრილშია დანახული და განხილული ის პრობლემები, რომლებიც წინ უძღვის და შემდგომ თან ახლავს შვილად აყვანის პროცესს, და დასახულია ზოგიერთი პრობლემის აღმოფხვრის გზებიც.

შვილად აყვანის პროცესში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე ბავშვთა რაოდენობა, სწორედ ესაა ის უდიდესი პრობლემა, რაც შვილად აყვანის უსაშველო როგში მყოფ წყვილებს/პირებს აწუხებთ. პრობლემა, რომელიც ასე თვალნათელია მაგრამ, სახელმწიფოს ძალისხმევა ნაკლებია აღნიშნული საკითხის მოგვარების საქმეში. საკანონმდებლო ნორმები არსებით ცვლილებებს საჭიროებენ.

შემაშფოთებელია შვილად აყვანის პროცესის ერთ - ერთი ძირითადი პრობლემის გამომსახველი ციფრები, რაც წლების მიხედვით შემდეგია:

2017 წელს 4000 - მდე დედა ელოდებოდა შვილად აყვანას, ხოლო გასაშვილებელი ბავშვის რაოდენობა იყო 164, 2018 წელს გასაშვილებელი ბავშვების რაოდენობამ 50 - ით მოიმატა 164 + 50, ხოლო მშვილებელთა რიგმა არ იკლო.

2019 წლის მონაცემებით გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე ბავშვთა რაოდენობამ 220 შეადგინა აქედან 153 ბავშვი შ.შ.მ. პირია, სამწუხაროდ დადგენილი ფაქტია, ის რომ, შ.შ.მ. სტატუსის მქონე ბავშვებზე მშვილებელთა მოთხოვნა არ არის, მთელ რიგ მიზეზთა შორის, ესეც ერთ - ერთია რის გამოც მშვილებელთა რაოდენობა თითქმის არ მცირდება და თუ კი დავეყრდნობით რეალობას, საშუალოდ ერთ მშვილებელს 120 წლამდე ვერ მოუწევს შვილად აყვანის რიგი.

კვლევის მიზანი. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ის, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს და გაიაზროს რეალური საჭიროება იმისა, რომ შვილად აყვანის პროცესი წარიმართოს ნაკლები ბიუროკრატიით, ვიდრე რეალურადაა. და, რომ რთული პროცესის გარეშეც შესაძლებელია იმ შედეგზე გასვლა, რაც ბავშვზე მორგებული, ბავშვის სამართლიანი სერვისის დამკვიდრებაა.

შვილად აყვანის პროცესში სამი ძირითადი მხარეა ჩართული: სახელმწიფო (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო - შემდგომში სააგენტო) გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე პირი და ოფიციალურად დარეგისტრირებული მშვილებელი, უდავოა, და მხარეები ცალსახად თანხმდებიან იმაზე, რომ პრიორიტეტს წარმოადგენს ის სამართლებრივი სიკეთე, რასაც ბავშვის საუკეთესო ინტერესი ჰქვია. ნაშრომი შეძლებს:

- გამოავლინოს შვილად აყვანის პროცესის ირგვლივ არსებული საკანონმდებლო თუ მორალური ხარვეზები და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დასახოს მათი დაძლევის სამართლიანი გზები.
- გლობალურ ჭრილში განიხილოს შვილად აყვანასთან დაკავშირებული პრობლემები და შეიმუშაოს დასაბუთებული, მორალურ - ეთიკური, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები, მათშორის, საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით.

კვლევის მეთოდი და ნაშრომის აგებულება. სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც

გამოიყენება როგორც ემპირიულ, ასევე თეორიულ დონეზე. ჩატარდა კვლევა და გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც აფერხებს შვილად აყვანის პროცესს და მის პრაქტიკულ გამოყენებას.

თვისობრივი გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე კვლევა ჩავატარე ინტერვიუს საშუალებით. გამოკითხვა ჩავატარე როგორც პირადად ასევე მობილური კომუნიკაციის საშუალებით, სულ ჩემს მიერ გამოკითხულ ადამიანთა რაოდენობამ 15 შეადგინა, მათი უმეტესობასთან საუბრის ჩასაწერად გამოვიყენე აუდიო ჩამწერი. ინტერესის სფეროდან გამომდინარე გამოკითხულთა შორის არიან ნაშვილები პირები, მშვილებლები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, პოტენციური მშვილებლები იურისტები, რომლებიც საკითხს იცნობენ და ვინაიდან საკითხი მორალურ - ეთიკური და სოციალურია გამოკითხულთა შორის არიან სასულიერო პირები როგორც მართლმადიდებლური ეკლესიიდან ასევე თეოლოგი მუსლიმურ საკითხთა მცოდნე.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისაგან: შესავალის, ძირითადი ტექსტის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. მთლიანად ნაშრომის მოცულობა სულ შეადგენს ..... (ორმოცდაათი) გვერდს.

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი (აბრევიატურები):

მაგ.	მაგალითად
გამომც.	გამომცემლობა
გვ.	გვერდი
იხ.	იხილეთ
სსკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
ქსმ.	ქართული სამართლის მიხედვით
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
ჯდკ.	ჯანმრთელობის დაცვის კანონი

თავი I. შვილად აყვანის ცნების ლიტერატურული მიმოხილვა

1.1. შვილად აყვანის ცნება.

მანამ სანამ უშუალოდ შვილად აყვანის საკითხს შევეხები მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილო ოჯახის არსი და დანიშნულება, ოჯახს ხანგრძლივი და მრავლისმომცველი ისტორია აქვს. „ოჯახი თავისი ბუნებით აქტიური ელემენტია, რის გამოც იგი არასდროს არაა ერთ ადგილზე გაქვავებული, არამედ დაბალი ფორმიდან გადადის უმაღლესში, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან ვითარდება უმაღლესი საფეხურისკენ“.

რამდენადაც ოჯახი სოციალური მოვლენაა და საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს და ცვლილებას ასახავს, ოჯახს საფუძველი, როგორც წესი, ქორწინებით ეყრება. სწორედ ოჯახში ხორციელდება და ყალიბდება მეუღლეების, მშობლებისა და შვილების, და ძმებისა და სხვათა ურთიერთობანი. საზოგადოების სტრუქტურაში ოჯახს სპეციფიკური ადგილი უკავია. იგი შემაკავებელი რგოლია დიდ სოციალურ ერთობებსა და პიროვნებებს შორის.[2]

ოჯახში ერთმანეთს ერწყმის ბუნებრივ - ბიოლოგიური და მატერიალურ - ეკონომიკური საწყისები, ხოლო ტრადიციული განმარტებით, საოჯახო სამართალი არეგულირებს ოჯახის წევრთა შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს. მასში ძირითადად ორ კრიტერიუმზეა ყურადღება გამახვილებული. პირველი ეხება საოჯახო ურთიერთობათა მონაწილეებს, და მათი წრე განსაზღვრულია და მეორე - ურთიერთობათა შინაარსს.[3]

სამწუხაროა, მაგრამ რეალობა, ის, რომ ყველა შემთხვევაში არ არის შვილის ყოლის პროცესი მარტივი და ბუნებრივი. იმდენად დიდი და გლობალური

[2] შ. ჩიკვაშვილი. (1999) საოჯახო სამართალი - მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“. გვ. 10 – 11.

[3] რ. შენგელია, ე. შენგელია (2017) საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი - თეორია და პრაქტიკა (მეორე გამოცემა) თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“. გვ. 22.

პრობლემაა უშვილობა წყვილებში, რომ განვითარებულ კულტურებში შვილად აყვანა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, და არ ითვლება ოჯახური ცხოვრების არასრულფასოვან წესად, მიუხედავად გენეტიკური კავშირის არ არსებობისა. ამის დასტურად, სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნავენ „შვილად აყვანის ნაციონალურ დღეს“, ამ დღეს ისინი სიამაყით აქვეყნებენ სოც.ქსელში აყვანილი ბავშვების ფოტოებს, სამწუხაროდ საქართველოში ეს პროცესი პირიქითაა და სწორედ აქედან იწყება მთელი რიგი პრობლემები, რაც თან სდევს შვილად აყვანის პროცესს. მიუხედავად დიდი საჭიროებისა, საქართველოში შვილად აყვანა ნორმას არ ექვემდებარება. ის დიდ საიდუმლოებასთან და სირცხვილთან არის დაკავშირებული, ამას კი იმით ხსნიან, ერთი - საზოგადოების აზრი და მეორე ნაშვილებთან ურთიერთობა, რასაც საბოლოო ჯამში კანონის არასწორ ფორმულირებამდე მივყავართ ვინაიდან მშვილებელი მუდმივ სტრესსა და შიშს განიცდის, რაც შემდგომ უარყოფითად აისახება მშობლის მოვალეობების შესრულების ხარისხზე.

შვილება (შვილად აყვანა) თანამედროვე სამართლის მიხედვით რეგულირდება სსკ - ით. სსკ - ის 1239 - ე მუხლის შესაბამისად:

1. შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის.
2. სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.[4]

[4] საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (2018) (2018 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით) თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

1.2. ისტორიული რაკურსი შვილად აყვანის პროცესში

შვილად აყვანის ინსტიტუტს საბჭოთა სამოქალაქო სამართალი, კერძოდ საოჯახო კანონმდებლობა 1926 წლიდან იცნობს. შვილად აყვანა წარმოადგენდა ისეთ იურიდიულ აქტს, რომლის ძალითაც ნაშვილებს და მშვილებელს შორის აღმოცენდებოდა ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც შთამომავლობით ნათესავებს შორის, შვილად აყვანა ხდებოდა სახალხო დეპუტატების რაიონული/საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, შვილად აყვანის სხვა რომელიმე წესზე კანონი არ მიუთითებს.[5]

შვილება ძველ ქართულ სამართალში ერთ - ერთ უძველეს ინსტიტუტს წარმოადგენდა ეს უპირატესად განპირობებული იყო იმით, რომ მას დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ამ ინსტიტუტის წარმოშობა არ დაწყებულა ქართული სამართლით და მან გამოყენება ჯერ კიდევ რომის სამართალში ჰპოვა,შვილად აყვანის ძირითად დანიშნულებას მისი განვითარების პირველ ეტაპზე წარმოადგენდა ოჯახისთვის ვაჟის აუცილებელი ყოლა, რადგან რელიგიური ადათი ითვალისწინებდა ამას, კერიის სიწმინდის დასაცავად. შვილად აყვანა ქართული სამართლისთვის ძირითადად უკავშირდებოდა საოჯახო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიც იყო ანდერძის ინსტიტუტი.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ უშვილო ოჯახის პატრონს შეეძლო თავის სურვილისამებრ ვინმე ეშვილნა „გაეზარდა შვილად“ ეს „შვილი გაზრდილი“ მისი მამობილის გარდაცვალების შემდგომ მისი მემკვიდრე გახდებოდა.[6]

---

[5] ახვლედიანი ზ. (1988) მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი) თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ გვ. 37

[6] კუხიანიძე ქ. () შვილად აყვანის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა ძველ რომში და მისი სამართლებრივი რეგულირება ძველ ქართულ სამართალში.

1.3. შვილად აყვანის პროცესის შესაბამისობა საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებთან.

როგორც წესი, ბავშვის შვილად აყვანას აწესრიგებს საერთაშორისო და შიდა რეგულაციები, რომელიც მკაცრად განსაზღვრავს წესებს: როგორ უნდა გაშვილდეს ბავშვი, როგორი ბავშვი უნდა გაშვილდეს, როდის და ვისზე უნდა გაშვილდეს. შვილად აყვანის ძირითადი საკითხები საკითხები განიხილება „ბავშვის აყვანის შესახებ 1967 წლის ევროპულ კონვენციაში". 1989 წლიდან გაეროს „ბავშვთა უფლებების კონვენციით" ჩამოყალიბდა ბავშვის გაშვილების ისეთი სისტემა, სადაც მთლიანად გარანტირებული იყო ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვა მისი გაშვილების შემთხვევაში.

1993 წლიდან ძალაში შევიდა ჰააგის „საერთაშორისო გაშვილების საკითხებში ბავშვთა დაცვისა და თანამშრომლობის შესახებ" კონვენცია.

1993 წლიდან 66 ქვეყანამ ჰააგაში შეიმუშავა მონაწილე ქვეყნებს შორის საერთაშორისო გაშვილების ძირითადი სტანდარტების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მონაწილეა 47 ქვეყანა. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებში ბავშვის შვილად აყვანა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.[7]

ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ კონვენციას აღიარებენ, რომ ბავშვს მისი პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისთვის ესაჭიროება ოჯახის გარემოცვაში, ბედნიერების სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში აღზრდა. თითოეული სახელმწიფო ვალდებულია პრიორიტეტულ ამოცანად დაისახოს სათანადო ზომების მიღება ბავშვის საკუთარ ოჯახში აღსაზრდელად.[8]

2017 წლის მაისში ძალაში შევიდა ახალი კანონი, „შვილად აყვანის შესახებ".კანონი წლების მანძილზე მუშავდებოდა.მისი მიზანი იყო გაშვილების

[7] სამეცნიერო სტატია (2014) ფაქტობრივი ცნობა „შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში" სტატიის ავტორი: ნინო კალანდაძე.

[8] ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია (ჰააგა, 1993) XVII სესია, შემაჯამებელი აქტი (ამონაკრები).

პროცედურის ჰააგის კონვენციის შესაბამისობაში მოყვანა და ბავშვის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

თუმცა, საერთაშორისო რეგულაციებისკენ დიდი დოზით სწრაფვამ, და ახალმა კანონმდებლობამ ახალი რეგულაციები იმ საერთო და დიდ მიზანს ააცილა, რასაც ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა ჰქვია, სამწუხაროდ ბოლო წლებში განხორციელებულმა ახალმა რეგულაციებმა, რაც თორიულად შვილად აყვანის პროცესის გაჯანსაღებას ემსახურება, პრაქტიკულად ეს შედეგი არ დადგა, არათუ გაჯანსაღდა ან გამარტივდა პროცესი, პირიქით, ახალი რეგულაციების წყალობით შვილად აყვანის პროცესი ერთიორად გართულდა, რაც აისახება იმ ციფრებში რომელთა მეშვეობით შვილად აყვანის რიგში მდგომი პირების რაოდენობა გამოისახება.

თავი II. შვილად აყვანის პროცესში მონაწილე პირები და მათი ძირითადი უფლებები

2.1 მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი ბავშვის გამშვილებელ ორგანოდ სახალხო დეპუტატების რაიონული/საქალაქო/საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს იცნობდა, აღნიშნული კომიტეტის გადაწყვეტილებით ხდებოდა შვილად აყვანა.[9]

დღეისათვის კი აღნიშნულ საქმიანობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს, მათი ფუნქცია შვილად აყვანის პროცესში არის: კოორდინაცია გაუწიოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა მუშაობას, უზრუნველყოს შვილად აყვანის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის

[9] ახვლედიანი ზ. (1988) მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი) თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ გვ. 38.

განხორციელება, შიმუშაოს ერთიანი რეესტრი, შეიმუშაოს მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის კრიტერიუმები, აწარმოსს სოციალურ მუშაკთა უწყებრივი რეესტრი, წარმოადგინოს ცენტრალური ორგანო საერთაშორისო გაშვილების საკითხებში და სხვა უფლებამოსილებები.

კონკრეტული განსაზღვრებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დანიშნულებას წარმოადგენს ის, რომ არ მოხდეს ბავშვის განვითარებისთვის შეუფერებელ გარემოში, აქედან გამომდინარე მიზანი და დანიშნულება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დარჩა იგივე, თუმცა გართულდა თვითონ შვილად აყვანის პროცესი, რაც კიდევ ერთი ურთულესი პრობლემაა შვილად აყვანის ინსტიტუტისთვის, ჩვენი ხანმოკლე (ექსპრეს) გამოკვლევის დროს მშვილებელთა ერთიან რეესტრში დარეგისტრირებულმა რამდენიმე მშვილებელმა ერთხმად აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს ძალისხმევა და მცდელობა არ არის საკმარისი და რომ შვილად აყვანის ინსტიტუტის ირგვლივ არსებული საკანონმდებლო ნორმები ფუნდამენტურ ცვლილებებს საჭიროებენ“. იმაში, თუ რა პრობლემებს ხედავენ მშვილებლები კონკრეტულად განვიხილავთ ცოტა მოგვიანებით.

2.2 მშვილებელი

მშვილებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს „შვილად აყვანისა და მინდობის აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და აღრიცხულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრში.[10] აღნიშნულ რეესტრში რიგითობის პრინციპი არ მოქმედებს იმ პირებზე ვისაც აქვს ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლება, ეს წრე კი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- მშვილებელს, რომელსაც სურს შვილად აიყვანოს თავისი მეუღლის შვილი;
- მშვილებელს, რომელიც არის გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი;

[10] საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1245 (2018) (2018 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით) თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

- მშვილებელს, რომელსაც უკვე აყვანილი ჰყავს შვილად, გასაშვილებელი ბავშვის დედმამიშვილი;
- მინდობით აღსაზრდელს, რომელსაც ბოლო 6 თვის განმავლობაში მინდობით აღსაზრდელად ჰყავდა გადაცემული აღსაზრდელი.

კანონი მშვილებლებს გარკვეულ შეღავათებთან ერთად შეზღუდვებსაც უწესებს, არ შეიძლება მშვილებელი იყოს პირი, რომელსაც ავადმყოფობის გამო ან მორალური თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს ის ფუნქციები, რასაც შვილად აყვანა ითვალისწინებს.[11]

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მშვილებლები არიან ადამიანები, რომლებიც არიან მზად აღზარდონ სხვისი ბიოლოგიური შვილები, და გაუწიონ მათ იმ მშობლების მაგივრობა, რომლებიც ასე აკლიათ გასაშვილებელ ბავშვებს, თუმცა იმაზე საუბარი რთულია მშვილებლების მიერ გადადგმული ეს ურთულესი გადაწყვეტილებები სინამდვილეში გამოჩენილი გულისხმიერება თუ გამოუვალი მდგომარეობის გამოძახილია?! ალბათ უფრო ორივე!..

პირის შვილად აყვანის მიზეზებიდან (კეთილდღეობა, ღირსეულად აღზრდა, სრულფასოვანი განვითარება და განათლების მიღების შესაძლებლობა) გამომდინარე გარკვეულ უფლებებთან ერთად არსებობს მთელი რიგი საკანონმდებლო შეზღუდვები, რაც აუცილებელია რათა, თავიდან იქნეს აცილებული გასაშვილებელი ბავშვის არასათანადო გარემოში მოხვედრა.

ვინ შეიძლება იყოს მშვილებელი - მშვილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, გარდა იმ პირისა, რომელიც:

- ჩამოერთვა მშობლის უფლება ან ადრე ჰყავდა შვილად აყვანილი სამეურვეო/სამზრუნველო პირი ან/და შვილობილი, მაგრამ ეს ურთიერთობა გაუქმდა მის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეზღუდული აქვს მშობლის უფლება;

[11] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (2000) წიგნი V. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“

- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია მშობლის მოვალეობათა ჯეროვნად შესრულება;
- სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

2.3 გასაშვილებელი ბავშვი.

შვილად აყვანას ექვემდებარება გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრში აღრიცხული 18 წლამდე ასაკის პირი, რომელსაც მიენიჭა გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი, კერძოდ ბავშვი:

- რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ აღიარა უგზო - უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- რომელსაც არ ყავს არც ერთი მშობელი (შემდგომში - ობოლი ბავშვი);
- რომელიც აღიარებულ იქნა მიტოვებულ ბავშვად;
- რომლის მშობელმა (მშობლებმა) მის გაშვილებაზე თანხმობა განაცხადა (განაცხადეს) და, რომელიც აღრიცხულია ერთიან რეესტრში;
- რომლის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება.

ნაშვილები შვილად აყვანით მშვილებლებთან მიმართებაში არა მხოლოდ იძენს მშობლიურ უფლება - მოვალეობებთან გათანაბრებულ უფლება - მოვალეობებს, არამედ არამედ ღვიძლი მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს; ამავე დროს იგი თავისუფლდება ღვიძლი მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ არსებული მოვალეობებისაგან.[12]

[12] შ. ჩიკვაშვილი. (1999) საოჯახო სამართალი. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: „მერიდიანი“. გვ. 7

თავი III. საქართველოში ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებული პრობლემების სამართლებრივი ანალიზი:

3.1. შვილად აყვანის პროცესში მონაწილე სუბიექტების უფლებების სამართლევრივი ანალიზი.

შვილად აყვანის უფლება პირად უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება და სხვა საოჯახო უფლებათა მსგავსად (ქორწინება, განქორწინება და სხვ.) არ შეიძლება მისი განხორციელება წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლობა არა მარტო შვილად ასაყვანი პირის, არამედ შვილად აყვანის მსურველის მხრიდანაც დაუშვებელია. ასეთი აკრძალვის საფუძველი შვილად აყვანის კონკრეტიზებული უფლების ღრმად სუბიექტური ხასიათია. კანონს ასევე, დაუშვებლად მიაჩნია შვილად აყვანა რაიმე პირობით ან ვადაზე მითითებით. ასეთ შეზღუდვებს საფუძვლად უდევს შვილად აყვანის ინსტიტუტის დანიშნულება და შინაარსი.[13]

ზოგადად ბავშვების აღზრდა ოჯახის ძირითადი ამოცანაა. ბავშვი ეკუთვნის არა მარტო მშობლებს არამედ მთელ საზოგადოებას, სახელმწიფოს. ამიტომ ბავშვის აღზრდა განიხილება, როგორც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე და მიიჩნევა არა მარტო ზნეობრივ, არამედ სამართლებრივ მოვალეობადაც.[14]

შვილად აყვანის პროცესის მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ: მშვილებელი, გასაშვილებელი სტატუსის მქონე ბავშვი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო - სოც. მუშაკები, მაგრამ ძირითადი, მამოძრავებელნი არიან მშვილებელნი და გასაშვილებელნი, რომელთაც ცალ - ცალკე,

[13] რ. შენგელია, ე. შენგელია (2017) საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი - თეორია და პრაქტიკა (მეორე გამოცემა) თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“. გვ. 293 – 294.

[14] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (2000) წიგნი V. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“ გვ. 169.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ორივე მხარეს აქვთ თავისი პრობლემები, რომლებიც. როგორც გაშვილებამდე ისე მას შემდგომ იჩენს თავს.

3.2. საკანონმდებლო ხარვეზები შვილად აყვანის პროცესში და მათი აღმოფხვრის გზები.

იქამდე, სანამ კონკრეტულად ვისაუბრებთ შვილად აყვანის პროცესში მონაწილე მხარეების უფლებების განხორციელებაზე და მათში არსებულ ხარვეზებზე, ყურადსაღებია განვსაზღვროთ ძირითადი უფლებები და მათი ადრესატი, ძირითადი უფლებების ადრესატია სახელმწიფო, რომელიც შებოჭილია ძირითადი უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ძირითად უფლებებს შემბოჭველი ძალა აქვს ხალხის და სახელმწიფოს მიმართ.[15] მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სამართლის საკანონმდებლო ნორმები თეორიულად აწყობილი და მორგებულია პირველ რიგში გასაშვილებელი ბავშვის საუკეთეო ინტერესზე და შემდგომ მშვილებელზე, და მაინც ფურცელზე მთელი სიზუსტით გაწერილი ნორმები პრაქტიკულად ვერ ფუნქციონირებს ისე რომ შვილად აყვანის პროცესში მონაწილე რომელიმე მხარის უფლება არ იქნას დარღვეული.

ვიცით, და სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოში მწვავედ დგას უშვილობის პრობლემა და რამდენადაც დიდია დაინტერესება და სურვილი შვილად აყვანის, იმდენად საკმაოდ რთული და ზოგ შემთხვევაში მიუღწეველი სურვილია.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის (საქართველო 1994 წელს შეუერთდა) თანახმად: „ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების,ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებლად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი, აღიარებენ რა, რომ ბავშვის პიროვნების

[15] ლ.იზორია,კ.კორკელია.კ.კუბლაშვილი.გ.ხუბუა (2005) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი. თბილისი: „მერიდიანი“. გვ. 10-11.

სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში“.[16]

თუ ჩვენ ზემოთხსენებულ დათქმასა და სსკ - ის 1245 - ე მუხლს (მშვილებელი) შევადარებთ, დავინახავთ აშკარად შეუსაბამობას ტერმინებში, თუ კი ბავშვის საუკეთესო ინტერესი წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესს და მისი საუკეთესო ინტერესი ოჯახურ გარემოში ცხოვრებაა, და ვიცით, რომ ოჯახი არის ქორწინებაზე დამყარებული ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი და რატომ შეიძლება იყოს მშვილებლის განმარტებაში მშვილებელი იყოს ერთი პირი.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ნორმა კორექტირებას საჭიროებს, რადგან ურთიერთგამომრიცხავი თათქმებია და საჭიროა დაკონკრეტდეს ის ცალკე ერთი პირი ვინ შეიძლება იყოს, თუ ჩვენ სიტყვასიტყვით მშვილებლის განმარტებას მივყვებით, მარტოხელა მამაკაცს კანონი აძლევს უფლებას შვილად აიყვანოს 0 – 18 წლამდე ბავში და თუ ბავშვი 1-5 წლამდეა მას განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება, რასაც ვფიქრობთ, რომ მარტოხელა მამაკაცი ვერ უზრუნველყოფს, ჰააგის საერთაშორისო კონვენციაში ვერსად ვიპოვით ჩანაწერს სადაც მშვილებელი მხოლობით რიცხვშია ნახსენები, მოიხსენიება ან ოჯახი ან მშვილებლები, ცალკე პირი ნახსენები არაა, აქედან გამომდინარე უკეთესი იქნება და ბავშვის საუკეთესო ინტერესი არ დაირღვევა თუ კი მშვილებლის განმარტებაში მოიხსენიება მშვილებლები ან ოჯახი ცალკე პირი შეიძლება დაიშვას გამონაკლისის სახით და ასევე ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, მაგალითად 7 წლამდე ბავშვის შვილად აყვანა არ იყოს დაშვებული მარტოხელა მამაკაცისთვის ხოლო ქალს შეეძლოს 7 წლამდე ასაკის ბავშვის აყვანა, ვინაიდან ამ ასაკამდე ბავშვს დედის სითბო და განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება. ჯერ კიდევ საბჭოთა სამართალი ითვალისწინებდა წინამდებარე რისკებს და საფრთხეებს და „ერთი პირის, მიერ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში შვილობილი ინარჩუნებდა უფლებებს

[16] ბავშვთა უფლებათა კონვენცია (1989) 20 ნოემბერი ძალაში შევიდა 02/09/1990.

დედის სურვილით - თუ მშვილებელი მამაკაცი იყო, ან მამის სურვილით - თუ მშვილებელი ქალი იქნებოდა“[17]

სწორედ ამ პრობლემიდან გამომდინარეობს სხვა, კიდევ უფრო ძირეული პრობლემა, კანონში არა თუ განსაზღვრულია მშვილებლების ქორწინებაში ყოფნის მინიმალური ზღვარი არამედ თვითონ მოთხოვნაც არაა, იმისა, რომ ბავშვი უნდა აიყვანოს ქორწინებაში მყოფმა პირებმა, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დათქმა საჭიროებს საკანონმდებლო ძალას, ვინაიდან ამ ხერხით მშვილებლების რიგი გაიფილტრება და შესაძლოა შემცირდეს კიდეც. შვილად აყვანის პროცესი და მისი რეალური საჭიროება გააზრებულ იქნას პოტენციური მშვილებლების მიერ. ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში ქორწინების მინიმალური ზღვარი შვილად აყვანის მიზნებისთვის 5 წელია, სასურველი იქნება თუ კი საქართველოში ეს ზღვარი ორი ან სამი წელი მაინც იქნება დაწესებული.

ჩვენს მიერ გამოკითხული მშვილებლებიდან მიუხედავად მათი ისტორიების სხვაობისა მათი პრობლემა საერთოა, ფაქტიურად იდენტურიც კი, მათ აწუხებთ, მრავალწლიანი უსასრულო რიგები მშობლის სტატუსის მოსაპოვებლად, გასაშვილებელი ბავშვები და პოტენციური მშობლების უსასრულო მოლოდინი ხშირად შედეგის გარეშე სრულდება, პრობლემა ათასობით ოჯახს და მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებს აწუხებთ.

ისინი საკუთარ პრობლემაზე საუბრობენ და მოკლედ მიმოვიხილოთ მათი თვალით დანახული შვილად აყვანის პროცესი: (სახელები პირობითია, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე).

ქ - ნი ნანა 8 წელია რაც მშვილებელთა რეესტრშია რეგისტრირებული, მისი თქმით პრობლემა არის ის, რომ მშვილებელთა რიგში საკმაოდ შორსაა, და ამას დაემატა ახალი კანონის / რეგულაციების ამოქმედება, რის შედეგადაც მისივე თქმით სიები აირია, კითხვაზე თუ როგორი ბავშვის აყვანა სურს შვილად იგი პასუხობს, რომ ერთიდან ოთხ წლამდე ასაკის ბავშვის შვილად

[17] ახვლედიანი ზ. (1988) მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი) თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ გვ. 38

აყვანა სურს, თუმცა ასევე აღნიშნავს, რომ იმედი აღარ აქვს რადგან მისი ასაკიც ყოველწლიურად მატულობს და ასაკი მშვილებლის წუნად განიხილება.

ქ - ნი მანანა კი უკვე 22 წელია თავის რიგს ელოდება, იგი მშვილებელთა რეესტრში 2007 წლიდანაა და დღეს ის 50 - ს გადაცილებულია, რაც პრობლემას წარმოადგენს. რიგში ის მე - 500 ადგილზეა, ქალბატონი მანანა ფიქრობს, რომ ბიუროკრატია ართულებს პროცესს სხვადასხვა სახის ცნობებისა და დაოკუმენტების შეგროვება და ახალი კანონმდებლობით, მშვილებლის ეკონომიური მდგომარეობის ქულობრივი შეფასება (1 წელი გაიწელა სოც მუშაკის მიერ მისი შემოწმება) და სავალდებულოდ გასავლელი ტრენინგ-კურსი დაემატა, რაც თავად მშვილებელმა უნდა აანაზღაუროს, და რაც ყველაზე მთავარია, ქალბატონი მანანას დიდი სურვილია ერთი ღირსეული შვილი აღუზარდოს საქართველოს, და მისი მრავალწლიანი პედაგოგობის გამოცდილება მოახმაროს ისეთ ღირსეულ საქმეს, რასაც სხვისი შვილის გაზრდა ქვია.

ჩვენს, მიერ გამოკითხულ დანარჩენ მშვილებელთა პრობლემას რიგში დგომა წარმოადგენს. თუ გადავხედავთ და შევადარებთ წინა წლებისა და ბოლო სამი წლის მონაცემებს მშვილებელთა და გასაშვილებელ ბავშვთა სტატისტიკას დიდი ცვილება არ იგრძნობა, იყო და არის მათ, შორის შეუსაბამობა / დისბალანსი, რომლის გამოსწორებისთვის აუცილებელია პრობლება გამოიკვეთოს და დასახელდეს გლობალური ხარვეზი საკითხის ირგვლივ.

2017 წელს 4000 (ოთხი ათასი) - მდე დედა ელოდებოდა შვილად აყვანას, ხოლო გასაშვილებელი ბავშვის რაოდენობა იყო 164, (ას სამოცდაოთხი)

2018 წელს გასაშვილებელი ბავშვების რაოდენობამ 50 (ორმოცდაათი)- ით მოიმატა 164(ას სამოცდაოთხი) + 50(ორმოცდაათი), ხოლო მშვილებელთა რიგმა არ იკლო.

2019 წლის მონაცემებით გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე ბავშვთა რაოდენობამ 220 (ორას ოცი) შეადგინა აქედან 153 (ას ორმოცდაცამეტი) ბავშვი შ.შ.მ. პირია,

უფრო კონკრეტულად რომ გამოვსახოთ: 2017 წელს, მშვილებელთა ერთიან რეესტრში, დარეგისტრირდა 194 (ას ოთხმოცდათოთხმეტი) მშვილებელი პირი/ოჯახი; 2018 წელს - 18 (თვრამეტი) მშვილებელი პირი/ოჯახი; 2019 წლის 30 მაისის მდგომარეობით 32 (ოცდათორმეტი) მშვილებელი პირი/ოჯახი;

სამწუხაროდ დადგენილი ფაქტია, ის რომ, შ.შ.მ. სტატუსის მქონე ბავშვებზე მშვილებელთა მოთხოვნა არ არის, მთელ რიგ მიზეზთა შორის, ესეც ერთ - ერთია რის გამოც მშვილებელთა რაოდენობა თითქმის არ მცირდება. აღნიშნული მონაცემების თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ დიაგრამებს სქემის სახით: (სქემა №1, №2 და №3)



<u>სქემა № 1.</u>



სქემა № 2.



სქემა № 3.

ის, რომ მშვილებლებსა და გასაშვილებელ ბავშვთა რაოდენობაში უზარმაზარი სხვაობაა, ეს არ ნიშნავს, იმას, რომ საქართველოში ბავშვის უფლებები დაცულია და სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობაა მოწესრიგებული. გასაშვილებელი სტატუსის მქონე ბავშვების სიმცირე, კიდევ უფრო თვალნათელს ხდის ფაქტს, რომ უფრო გლობალურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, თუმცა, იქამდე სანამ ამ საკითხს საფუძვლიანად შევეხებოდეთ,

მიმოვიხილოთ ის საკითხები რაც გაშვილებულ ბავშვებს აწუხებთ, და რას თვლიან ისინი მათი უფლებების შელახვად:
შვილად აყვანის ინსტიტუტის ხსენებისას ადამიანთა უმეტესობის ასოციაცია უკავშირდება რიგს, მრავალწლიანი რიგები მშობლის სტატუსისთვის, გასაშვილებელი ბავშვების და პოტენციური მშობლების უსასრულო მოლოდინი, რაც ათასობით ოჯახს და მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებს აწუხებთ.

შვილად აყვანის პროცესში, მნიშვნელოვან საკითხად იწოდება შვილების უდიდესი საიდუმლოს გამჟღავნება, ჩვენს მიერ გამოკითხულ ნაშვილებ პირებსა და ზოგადად ნაშვილებთა 95% - ს ეს ფაქტი მათთვის პრობლემას წარმოადგენს. გაშვილებული ბავშვების და ამ მომენტისათვის ზრდასრული ადამიანებისთვის შვილების საიდუმლოს არ გამჟღავნება ასოცირდება მთელი ცხოვრების სიცრუეში გატარებასთან და ამით ზოგიერთი ადამიანი იღებს უდიდეს სტრესს, ჩვენი ერთ-ერთი გამოკითხული ამ დროისთვის 43 წლისაა და ის ნაშვილებია, მან ამ ასაკში გაიგო სიმართლე და ეს საიდუმლო მის ცხოვრებაზე აისახა უარყოფითათ დაგვიანებული აღმოჩნდა სიმართლის გამხელა, რატომღაც მისმა გონებამ ეს ვერ გადახარშა და შინაგანი პროტესტის ნიშნად იგი გახდა დამოკიდებული ალკოჰოლზე.

საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ 65 – ე მუხლის მიხედვით, ნაშვილებს შეუძლია მიიღოს თავისი ბიოლოგიური მშობლის ვინაობის შესახებ ინფორმაცია, მშვილებლისა და ბიოლოგიური მშობლის თანხმობით, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ნორმის მსგავსი რედაქციით არსებობა ლახავს ბავშვის უფლებას იცოდეს თავისი წარმომავლობა და საჭიროების შემთხვევაში მიზეზი იმისა, თუ რა მიზეზებმა განაპირობა ბიოლოგიური მშობლების გადაწყვეტილება ბავშვის გაშვილებაზე. მისი უფლება, ფლობდეს მისთვის სასურველ ინფორმაციას საკუთარი წარმომავლობის შესახებ, არ უნდა იყოს დამოკიდებული მშვილებლის და ბიოლოგიური მშობლის თანხმობაზე, თუმცა გარკვეული შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს ასაკის გათვალისწინებით

მაგალითად 10 წლის და მეტი ასაკის ბავშვს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის შესახებ მიიღოს ყველანაირი სახის ინფორმაცია.ზემოთ ხსენებული მაგალითის მსგავსი სავალალო შედეგების თავიდან ასაცილებლად, სასურველია ნაშვილებისთვის საიდუმლოს გამხელა გახდეს სავალდებულო,რაც შემდგომში ნაშვილებს დაიცავს მოსალოდნელი ფსიქო - სოციალური სტერსისგან, თუმცა შესაფერის მომენტში და ეს შესაფერისი მომენტი, უნდა განისაზღვროს სოციალური მუშაკის მუშაობის და დაკვირვების შედეგად, სწორედ აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს ბავშვის უფლებების ადგილი შვილად აყვანის სტატუსის მინიჭებიდან შვილად აყვანის პროცესის დასრულებამდე. აღსანიშნავია ის, რომ არსებობენ მშვილებლები, რომლებიც ჯანსაღად აფასებენ შვილად აყვანის საიდუმლოს თავიდანვე გაცხადებას, ჩვენს მიერ გამოკითხული ერთ - ერთი მშვილებელი ქ - ნი ქეთევანი აღნიშნავს: „ადამიანს ადამიანზე ძვირფასი მონაპოვარი არ შეიძლება გააჩნდეს, ღმერთმა ადამიანი თავის სახედ და ხატად გააჩინა და ამაზე დიდი განძი და სიმდიდრე არ შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს“. ქალბატონმა ქეთევანმა შვილობილს თავად გაუმხილა შვილების საიდუმლო და ის ამ გადაწყვეტილებით ამაყობს, ასევე მან საჭიროდ ჩათვალა შვილობილის თანაკლასელებისთვის თავად მოეყოლა შვილად აყვანის შესახებ, რათა შემდგომში დაეცვა ნაშვილები არასასურველი ინფორმაციის დაუგეგმავად მიღებისგან, მან ისაუბრა შვილად აყვანის პრიორიტეტებზე იმაზე, რომ მან და მისმა შვილობილმა ერთმანეთი თავად აირჩიეს, ქალბატონი ქეთევანი მოუწოდებს მშვილებლებს დაძლიონ საზოგადოების რეაქციის შიში და ტყუილში ცხოვრებას ამჯობინონ სიმართლის თქმა.

ამ უკანასკნელი მაგალითიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ საკანონმდებლო დონეზე უნდა შემუშავდეს რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, საკითხში უკვე გარკვეული და გამოცდილი ადამიანები (მშვილებლები) საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ, პოტენციურ მშვილებლებსა და ახალბედა მშობლებს (მშვილებლებს).ბავშვის ფსიქოლოგია ერთ - ერთ ყველაზე სათუთ თემას წარმოადგენს, რაც ინდივიდუალურ მიდგომას და შესწავლას

საჭიროებს. საკითხში ჩახედული ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება, რომ ნაშვილებმა უნდა გაიგოს მისი წარმომავლობის შესახებ. თუმცა, იმისათვის, რომ გაუმხილოს ბავშვს შვილად აყვანის ფაქტი, მშვილებელი ჯერ თვითონ უნდა იყოს ფსიქოლოგიურად მზად ამის სათქმელად.

ბავშვებს აქვთ უფლება გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებანი, მიიღონ სასურველი ინფორმაცია...

„ბავშვის უფლებათა კონვენცია კიდევ ერთხელ ადასტურებს მსოფლიოს მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის განვითარებისა და უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის უმოკლესი გზაა“.[18]

შვილად აყვანა და ამ ფაქტის ოფიციალური რეგისტრაცია არ ნიშნავს, არ ნიშნავს, რომ პროცესი ამით დასრულდა, სწორედ შვილად აყვანის შემდგომ იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი, შეგუების (მშვილებლისა და ნაშვილების) პროცესი, სწორედ ამ დროს დგება სოციალური მუშაკების ჩართულობის საჭიროება. უპირველესად უნდა განხორციელდეს მათი შეგუების პროცესზე დაკვირვება, (შვილების პირველ ეტაპზე მაინც) თუ როგორ მიმდინარეობს მშვილებლისა და ნაშვილების ერთმანეთთან შეგუება, სამწუხაროდ მსგავსი პროცესის წარმმართავი არც სამართლებრივი ნორმები და არც პრაქტიკა არ არსებობს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან დასმულ კითხვაზე, თუ ყოფილა ფაქტები შვილების პროცესში მონაწილე პირების ერთმანეთთან შეუთავსებლობის და რა ღონისძიებები ხორციელდება ასეთი ფაქტების გამოსავლენად და შემდგომ აღმოსაფხვრელად. ამის პასუხად გვითხრეს, რომ თუ მოხდა შვილად აყვანილი პირის მშვილებელ ოჯახთან შეუგუებლობა, საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის“ 66-ე მუხლის[19] პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე მისი შვილად აყვანა შეიძლება შეიძლება გაუქმდეს შემდეგ შემთხვევებში:

[18] ბავშვთა უფლებათა კონვენცია (1989) 20 ნოემბერი ძალაში შევიდა 02/09/1990.

[19] საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ“ მუხლი 66.

ა) თუ მშვილებელი (მშვილებლები) არ ასრულებს (არ ასრულებენ) მისთვის (მათთვის) დაკისრებულ მშობლის მოვალეობებს;

ბ) მშვილებლის (მშვილებლების) მოთხოვნის შემთხვევაში, როდესაც მშვილებლის (მშვილებლების) და ნაშვილების თანაცხოვრება შეუძლებელია;

გ) თუ ამას ითხოვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნაშვილების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

თუმცა, აქედან გამომდინარე, დაისმევა ლოგიკური კითხვა, თუ კი მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო გაშვილების შემდგომ არ ახორციელებს რაიმე სახის კონტროლს, საიდან მიეწოდებათ მათ ინფორმაცია ასრულებენ თუ არა მშვილებლები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად, ან არის თუ არა შეგუების პრობლემა რაიმე ფორმით?! მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აზრით შვილებისას ნაშვილები იძენს შვილის სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მშობლისა და შვილისთვის დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების შესაბამისად, და რომ აღნიშნული გარემოება გამორიცხავს სოციალური მუშაკის მონიტორინგსა და მუშაობის საჭიროებას.

ვთვლით, რომ მსგავსი მიდგომა არასწორია, ვინაიდან ბიოლოგიურ მშობლებს შორისაც წარმოიშობა გარკვეული სახის კონფლიქტური სიტუაციები და სრულიად ბუნებრივ პროცესად შეიძლება ჩაითვალოს რომ ნაშვილებისა და მშვილებლის შეგუების პროცესში წარმოიშვას ხარვეზები, შესაბამისად ვთვლით, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კომპეტენციას უნდა დაემატოს შვილების შემდგომი პროცესის მონიტორინგი, თუნდაც იქამდე, სანამ ნაშვილები არ მიაღწევს 14 წელს, ვინაიდან ამ ასაკამდე მას აქვს გარკვეული პროცესუალური შეზღუდვები საკუთარი უფლებების განხორციელებაში.

მონიტორინგი თავდაპირველად სასურველია განხორციელდეს 6 თვის ინტერვალით, ხოლო შემდგომ პერიოდში კვარტალში ერთხელ.

საინტერესოა ამ მხრივ პრაქტიკა, თუ როგორ ხდება საერთაშორისო გაშვილების შედეგად გაშვილებული ბავშვების მდგომარეობის და სახცოვრებელი პირობების გადამოწმება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების „შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ მე - 18 მუხლის მე - 7 ნაწილის თანახმად უცხო ქვეყნის მოქალაქის, მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანის ფაქტის შესახებ ინფორმაციას სააგენტო აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;[20] საკითხის უკეთ გასაცნობად მივმართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუ რა როლი აქვს და რა შედეგი მოყვება სააგენტოს, მიერ ინფორმაციის მათთვის მიწოდებას, თუმცა სამწუხაროდ აღნიშნული ნორმა წარმოადგენს ე.წ. მკვდარ ნორმას, მისი პრაქტიკულად გამოყენება იმ ბავშვების ინტერესების დასაცავად, რომლებიც საერთაშორისო გაშვილების გზით არიან გაშვილებულნი არ ხდება.შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი იყო ის, რომ მსგავსი საკითხების შესახებ ინფორმაციისთვის მიგვემართა სოციალური სააგენტოსთვი, იკვეთება, რომ ზემოთ ხსენებული ნორმა თეორიული ჩანაწერია რაც პრაქტიკაში არანაირ შედეგს არ გვაძლევს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია,რომ საქართველოს კანონმდებლობაში გაშვილების შემდგომი კონტროლის საკმაოდ მწირი რეგულაციები არსებობს, ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის, რომ „შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში, საერთაშორისო გაშვილების შედეგად გაშვილებული ბავშვების მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს საზღვარგარეთ გაშვილებულ ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმები, დააწესოს კონტროლი და შეიმუშაოს საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები.

ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით არსებობს კანონით განსაზღვრული შეზღუდვები. იმისათვის, რომ ბავშვს მიენიოს გასაშვილებელი სტატუსი საჭიროა ის აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს.სწორედ სტატუსის მინიჭება უძღვის წინ შილად აყვანის ინსტიტუტს. ერთ - ერთი ასეთი შეზღუდვაა:

„დაუშვებელია და - ძმის, დების ან/და ძმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს“, ერთი შეხედვით აღნიშნულ

[20] სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების „შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ მე - 18 მუხლის მე - 7 ნაწილი

დათქმაში უსამართლობა არ შეინიშნება, თუმცა რეალურად პრაქტიკაში, არსებობენ ბავშვები, რომელთაც მხოლოდ იმიტომ ვერ ეძლევათ შანსი, ყავდეთ სრულფასოვანი ოჯახი და ვერ ენიჭებათ გასაშვილებელი სტატუსი,რომ ყავთ შშმ პირი და - ძმა და მშვილებლების მოთხოვნა შშმ პირებზე საერთოდ არაა. თეორიულად, ტექსტუალური საკითხი გამართულია სამართლიანად, თუმცა დათქმის მეორე წინადადება „როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს“ წარმოადგენს ე.წ. მკვდარ წინადადებას, ვინაიდან ამ შეზღუდვის გამო რეალურად უამრავი ბავშვი რჩება სრულფასოვანი ოჯახის მიღმა.

სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია ან ნებადართულია შვილად აყვანა, გაშვილება უნდა მოხდეს ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესთა გათვალისწინებითა და კომპეტენტური ორგანოების ნებართვით, ბავშვის კეთილდღეობის მყარი გარანტიების არსებობის შემთხვევაში. სახელმწიფო კი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისათვის, ამ შემთხვევაში საუბარია ბავშვის უფლებაზე ყავდეს და იზრდებოდეს სრულფასოვან ოჯახში. ხოლო უფლებები კონკრეტულ პიროვნებას აქვს ინდივიდუალურად, ყურადსაღებია სახელმწიფოს მისწრაფება, იმისა, რომ ბიოლოგიური დედმამიშვილების დაშორება არ მოხდეს, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის და ან ძმა შშმ პირია, ისეთ მძიმე ფორმით განსხვავებული საჭიროების მქონეა, რომ ვერც კი მოხდეს მათი სრულფასოვანი დედმამიშვილური კონტაქტის დამყარება (საუბარი არაა ისეთ და - ძმაზე, რომეთაც მჭიდრო კავშირი და მიჯაჭვულობა აქვთ დედმამიშვილზე) ასეთ შემთხვევაში ვთვლით, რომ შეზღუდვის ზემოთხსენებული ნორმა გადახედვას და კონკრეტიზაციას საჭიროებს ბავშვის უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

შვილად აყვანის ინსტიტუტის გარშემო არსებულ ხარვეზებზე იურისტების მოსაზრება შემდეგია:

„ბოლო წლებში კანონი აწესებს მეტისმეტად ბევრ შეზღუდვას: მაგალითად შვილად აყვანის მსურველს არ აქვს უფლება წინასწარ მოელაპარაკოს ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს (მშობლებს) (თუმცა ჩვენს მიერ გამოკითხული

მშობლები საუბრობენ იმაზე, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, კანონში ცვლილებამდე აქტიურად მოუწოდებდნენ და ურჩევდნენ თავად მოეძებნათ ბავშვი საკუთარი ძალებით, დღეისთვის თუ ეს დაკავშირებულია ადამიანის ვაჭრობის საშიშროებასთან რამდენად გამართლებული იყო მათ მიერ მოწოდება იმისკენ, რომ თავად მოეძებნათ ბავშვი, თუ მეორე მხრიდან შევხედავთ აღნიშნული შეზღუდვის ნაცვლად უნდა დაწესებულიყო უფრო მეტი კონტროლი, ვთვლით, რომ ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს უნდა რჩებოდეს უფლება თავადვე შეურჩიოს მის მიერ, ამქვეყნად მოვლინებულ ბავშვს სასურველი ოჯახი, ოჯახი, რომელზეც ჩათვლის, რომ მის შვილს აღზრდიან ღირსეულ მოქალაქედ. იმ ქვეყანაში სადაც დაკანონებული და წახალისებულია სუროგაცია, რომელიც ერთგვარად გაგებულ იქნას, როგორც ადამიანით ვაჭრობად არ უნდა იყოს აკრძალული პირდაპირი მიშვილების ფორმა, სრულიად ჯანსაღი პროცესია ბიოლოგიურმა მშობელმა თავად შეურჩიოს ოჯახი შვილს დანაშაულების გამოვლენა კი სპეციალური ორგანოების კომპეტენცია და მოვალეობაა).

მათი მოსაზრებით ზოგიერთი საკითხი სახელმწიფოს მხრიდან არასწორადაა გაგებული - „მოქმედი კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა, საერთაშორისო კონვენციები და ოჯახურ - სამართლებრივი ურთიერთობები უპირატესად ბავშვის უფლებებს ასახელებენ და ეს სახელმწიფოს მხრიდან გაგებულია არასწორად ვინაიდან, სწორედ ბავშვის უფლებებს ეხება ბიუროკრატიულად გართულებული პროცესი და უფლებების დაცვის ნაცვლად მათ შეფერხებამდე მიდის საქმე, საბოლოოდ კი ზარალდება ბავშვი, რომელიც მოკლებულია ოჯახურ გარემოს და რომელი უფლებაც ერთი შეხედვით, თეორიულად გარანტირებული აქვს (იზრდებოდეს ოჯახში) ვფიქრობთ ბავშვის უფლებების დაცვა ყველაზე მეტად ესმით მშვილებლებს ვისაც შვილად აყვანის სურვილი აქვთ, ვინაიდან მათ არ ყავთ საკუთარი ბიოლოგიური შვილი ისინი თანხმდებიან აღზარდონ სხვისი ბიოლოგიური შვილი და შეუქმნან ყველა საჭირო პირობა ღირსეული ცხოვრებისთვის და ამ დროს მათ შუაში დგას სახელმწიფო თავისი დაუსრულებელი ბიუროკრატიული მეთოდებით “.

საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ“ ახალი რეგულაციების, (კერძოდ მოსამზადებელი კურსის გავლა შვილად აყვანის მსურველ პირთათვის) მიზანი არის ის, რომ მშვილებელი იყოს ინფორმირებული ბავშვის აღზრდის საკითხებში, თუმცა ამ პროცესს ფინანსურად უნდა უზრუნველყოფდეს არა მშვილებელი არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის სააგენტო, ერთი შეხედვით აღნიშნული სავალდებულო რეგულაცია ფინანსური მოგების მიღების წყაროდ აღიქმევა, სასურველია ამ მხრივჩამოყალიბდება განსხვავებული პრაქტიკა, მაგალითად გამოცდილების გაზიარება მოხდეს არა სოციალური მუშაკების მიერ, არამედ თავად მშვილებლები იყვნენ ჩართული ტრენინგ კურსში, რათა პოტენციურ მშვილებლებს გაუზიარონ ის გამოცდილება და არსებული საკვანძო საკითხები, რაც მათ პრაქტიკულად გამოუცდიათ.

ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხდებოდეს სოციალური მუშაკების მუდმივი გადამზადება ისეთი ტრენინგ კურსებით, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარებას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს შვილად აყვანის პროცედურის ეფექტურად წარმართვას, უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დაინერგოს პრაქტიკა იმისა, რომ საქართველოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში მომუშავე სოციალური მუშაკების გადამზადება მოხდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ვინაიდან სწორედ ევროპის ქვეყნებში ჩაეყარა საფუძველი ადამიანის უფლებების პატივისცემას, თუ გვინდა განვითარება და წინსვლა არა მხოლოდ ნორმატიულ დოკუმენტეში უნდა მოხდეს პროცესის გამაჭიანურებელი ცვლილებები არამედ, უნდა შეიცვალოს მიდგომები რაც ვფიქრობ სახელმწიფოს პირდაპირი ვალია, საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობისა და განვითარებისთვის.

და რაც ყველაზე მთავარია და ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემად შეიძლება გადაიქცეს, ესაა მოსამართლეთა ნაკლები ინფორმირებულობა ისინი წყვეტენ ადამიანის ბედს, პრობლემატურია ის საკითხი, რომ მოსამართლეები სიღრმისეულად არ არიან ჩართულნი და ინფორმირებულნი შვილად აყვანის

პროცესში. და მხოლოდ იმ ინფორმაციაზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს, რაც ვფიქრობთ არაა საკმარისი იმისათვის, რომ საკითხი სიღრმისეულად იყოს შესწავლილი და მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მორგებული იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე და მხოლოდ თეორიულად ჩამოყალიბებული პრაქტიკულად უსამართლო ნორმები არ იქნება გადაწყვეტილებების ერთადერთი საფუძველი

კვლევისას გამოკითხულ ადამიანთა შორის შორის არის პოტენციური მშვილებელი, რომელიც თავს მიიჩნებს საკანონმდებლო ნორმების მსხვერპლად. მისი ამბავი დაიწყო ნანახი განცხადებით სადაც კარგი ანაზღაურების სანაცვლოდ ეძებდნენ 24 საათიან ძიძას რაზეც ქ - ნი მარიამი გამოეხმაურა და მას მესამე პირის დახმარებით მოუყვანეს საკმაოდ მოუვლელი ბავშვი რომელიც შაბათ კვირას უნდა წაეყვანა დედას, აღნიშნული შეთანხმე მიმდინარეობდა ხარვეზებით ბავშვი შაბათ კვირას არავის მიყავდა და გარდა ამისა თანხის გადახდასთანაც იყო გარკვეული პრობლემები, ეს გაგრძელდა დაახლოებით წელიწადნახევარი, აღსანიშნავია, ის რომ ბავშვს ქონდა დაზიანებები, კერძოდ დამწვრობები რაზეც ბიოლოგიურმა დედამ განმარტა რომ წყლის გადასხმის შედეგი იყო, გარდა ამისა ბავშვს ქონდა გარკვეული ფსიქო- სოციალური პრობლემები და გარე სამყაროსთან იყო გაუცხოებული, რაც არ დამალა მისმა ბიოლოგიურმა დედამ და აღიარა, რომ ეს იყო მისი აღზრდის მეთოდი ანუ გარე სამყაროსგან მოწყვეტილად გაზრდა, ბავშვის პრობლემები დაიძლია ახალ ოჯახში ცხოვრებით ძიძას ეძახდა დედას და ძიძის დედას ბებიას, ამ ბავშვის გარდა ირკვევა, რომ მის ბიოლოგიურ დედას ყავს კიდევ 4 ან 5 შვილი და არც ერტი არ იზრდება მასთან. მარიამის თქმით ბავშვის პრობლემებიდან გამომდინარე მათი დაახლოება მოხდა იმაზე მეტად, ვიდრე ეს იყო საჭირო და დღეს ბავშვი ცხოვრობს ე.წ. ძიძასთან , ძიძას ყავს საქმრო თხოვდება და მის საქმროს უწოდებს მამას და ამ დროს რას ამბობს კანონი?! კანონი ამბობს, რომ დედამ სულ, რომ უარი განაცხადოს ბავშვზე მაინც არ მიაკუთვნებს ამ ოჯახს ოჯახს (სადაც ბავშვი თავს გრძნობს როგორც ოჯახში და ასეცაა პრაქტიკულად) რადგან კანონის შესაბამისად ეს ბავშვი უნდა განაწილდეს და ხელახლა

დაიწყოს ის უსაშველო ბიუროკრატია და რიგი, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. რა არის ამ შემთხვევაში ბავშვის საუკეთესო ინტერესი?!

ფაქტი ერთია, ბავშვმა მოახდინა ინტეგრაცია ამ ოჯახთან და ახლა მიმდინარეობს ბრძოლა „ბოროტ“ კანონებსა და ბავშვის საუკეთესო ინტერესს შორის. სადაა კანონი მაშინ, როდესაც ბავშვი დამწვარია აქვს ფსიქო - სოციალური პრობლემები, იმის გამო, რომ იგი გამოკეტილია ოთხ კედელში სადაა კანონი როდესაც ასე უხეშად ირღვევა ბავშვის უფლებები, სასურველია ამ და სხვა კიდევ მრავალი მაგალითის გათვალისწინებით, თითოეული შემთხვევა განიხილოს ინდივიდუალურად და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესი და პრიორიტეტი იყოს ბავშვის უფლებები...

და სასურველია თუ სასამართლო პრაქტიკა ხელმისაწვდომი გახდება სასამართლო პრაქტიკის შესწავლის მიზნით, დღეისათვის კი უდავო წარმოების კატეგორიის საქმეები შვილად აყვანის ნაწილში დახურულია.

3.3. შვილად აყვანის ინსტიტუტის ირგვლივ არსებული პრობლემების ანალიზი გლობალურ ჭრილში:

როგორც ცნობილია შვილად აყვანის ინსტიტუტი საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობაში 1926 წლიდან არსებობს, ისტორიულად შვილად აყვანა ოდითგანვე ითვლებოდა მნიშვნელოვან მოვლენად იმ პირებისთვის, რომლებსაც არ ჰყავდათ ბიოლოგიური შვილები, აღნიშნული პრობლემა დღემდე არ კარგავს აქტუალობას ერთ- ერთ ყველაზე სენსიტიურ თემად შეიძლება ჩაითვალოს, შვილის არ ყოლის ბევრი მიზეზი შეიძლება არსებობდეს

სხვადასხვა კვლევებით დგინდება, რომ ადრეულ პერიოდებში 25 წლამდე ასაკში არ შეინიშნებოდა უშვილობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი, რაც დღეს არის. უშვილობის მაჩვენებელი ძალიან არის გაზრდილი. ამის მიზეზად ითვლება ადრეული სქესობრივი ურთიერთობები, დაუცველი ურთიერთობები და ინფექციები, რომლებიც შემდგომში იწვევს უშვილობას, ასევე პირველადი აბორტები ადრეულ ასაკში, არაჯანსაღი კვება და დაბინძურებული გარემო.

აბორტი გარდა თავისი საზარელი არსიდან გამომდინარე კიდევ მეტი ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს ქალის ორგანიზმისთვის, ფართოდ

ვსაუბრობთ უშვილობის პრობლემებსა და იმ მოუგვარებელ პრობლემაზე რასაც შვილად აყვანა და მის ირგვლივ გართულებული ბიუროკრატიული პროცესია თუმცა, ზოგჯერ ადამიანები თავად ვქმნით საკუთარი თავისთვის გამოუსწორებელ/მოუგვარებელ პრობლემებს, უშვილობის სხვადასხვა სამედიცინო მიზეზების გარდა პირველ აბორტს ახლავს ძალიან დიდი რისკფაქტორი. ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ პირველი, შემდგომი აბორტები მომდევნო სასურველი ორსულობისთვის ძალიან ცუდ გავლენას ახდენს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ოფიციალურად დარეგისტრირებული, გაკეთებული აბორტების მონაცემები შემდეგია:



ასევე პრობლემატურია საკითხი, როდესაც სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ ჩივილით ხელოვნურად შეწყვეტილი ორსულობის შესახებ, სამწუხაროდ რეგულაციის გარეშე გაყიდვაშია პრეპარატები, რომელთაც ორსულობის ხელოვნური შეწყვეტისთვიის იყენებენ ორსულები, სწორედ აქ ჩნდება აუცილებლობა სახელმწიფო ჩაერიოს საკანონმდებლო შეზღუდვებით.

მსგავსი სახიფათო რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე შეიძლება საუბარი ე.წ. Baby Box - ების შემოღებაზე, როგორც ამ პრობლემის მოგვარების ერთ - ერთ საშუალებაზე, რადგან ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს ჩვილის მიმტოვებელი დედის ანონიმურობას და ჩვილის ჯანმრთელობას არ უქმნის საფრთხეს. ამ ინსტიტუტის მეშვეობის შესაძლოა შენარჩუნდეს უამრავი ბავშვის სიცოცხლე

და მათ ვინც წლებია შვილად ამყვანთა რიგშია გაეზრდებათ შანსი შვილის ყოლის/გაზრდის.

სიცოცხლის უფლება არის დამცავი უფლება.იგი იცავს ადამინის სიცოცხლეს და უკრძალავს სახელმწიფოს ადამიანის მოკვლას, აგრეთვე ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც აშკარად ადამიანის სიკვდილი მოჰყვება. სიცოცხლის უფლების სუბიექტია ყოველი ადამიანი.ამასთან, ქალის ორგანიზმში არსებული ნაყოფი (ემბრიონი) აქვს არა მხოლოდ ღირსება, არამედ, იმავდროულად, ასევე აქვს სიცოხლის უფლება, რადგან სწორედ ამ მომენტიდან იწყება თანმიმდევრული ბიოლოგიური განვითარების პროცესი, რომლის განმავლობაშიც უკვე საკუთარი, კონკრეტული ინდივიდუალობის მქონე სიცოცხლე თანდათანობით ადამიანის სახეს იძენს.

დიდი ხნის განმავლობაში საკამათო იყო, კონკრეტულად როდის წარმოიშობოდა სახელმწიფოს ვალდებულება დაეცვა ადამიანის სიცოცხლე. დღეისათვის გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებებით, გადამწყვეტია ემბრიონის, ახალის სიცოცხლის წარმოშობის მომენტი და არა ნიდაცია ამის საფუძველია თუნდაც ის, რომ წარმოშობილ ნაყოფს სსკ - ის[21] მიხედვით, ადამიანის ჩასახვისთანავე წარმოიშობა მემკვიდრედ ყოფნის უფლება, თუმცა ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადევაზე. სიცოცხლის უფლება არა მარტო უკრძალავს ადამიანის მოკვლას, არამედ, იმავდროულად, ავალდებულებს მას აქტიურად დაიცვას ადამიანის სიცოცხლე.[22]

უფლებისათვის ბრძოლა არის მოვალეობა უფლებამოსილი ადამიანისა თავისავე თავის წინაშე. თავისი საკუთარი არსებობის დაცვა არის უმაღლესი კანონი ყოველი ცოცხალი ქმნილებისა და ამ კანონს ვხედავთ ყოველი არსების მისწრაფებაში თვითარსებობისადმი.[23] თუმცა აღნიშნული დათქმის მიხედვით

---

[21] 1997 წლის 26 ივნისი; ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან.

[22] ლ. იზორია, კ.კორკელია. კ. კუბლაშვილი. გ.ხუბუა (2005) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი. თბილისი: „მერიდიანი“. გვ. 46 – 47.

[23] რუდოლფ ფონ იერინგი (2000). ბრძოლა უფლებისათვის. თბილისი: “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. გვ. 48.

ბრძოლა არ ძალუძს სხვის სხეულში ჩასახულ ფეტუსს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ინსტიქტების მეშვეობით სულდგმულობს და ცდილობს გადარჩენას განსხვავებით ზრდასრული ადამიანისგან.

სიცოცხლის თავისუფლების სუბიექტია ჯერ კიდევ დაუბადებელი პირი - ჩანასახი. თუმცა სადავოა, ჩანასახი ძირითადი უფლებების სუბიექტია, თუ კონსტიტუცია მხოლოდ იცავს მისი სიცოცხლის უფლებას.[24] თუმცა, როგორც არ უნდა შევხედოთ სამართლებრივი ლიტერატურითა და არსებული კანონმდებლობით თეორიულად გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს სიცოცხლის უფლება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (რომი,1950 წლის 4 ნოემბერი) მე-2 მუხლი სიცოცხლის უფლების გარანტიაა, „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი.“[25]

მომავლისაკენ კაცობრიობის მსვლელობის ხანგრძლივ გზაზე, რა შეიძლება იყოს ჩვენთვის იმაზე უფრო ძვირფასი, ვიდრე ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა და მათთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭება კაცობრიობის მისწრაფებათა და მომავალ მონაპოვართა შორია?[26]

ადამიანების უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე - 3 მუხლით, ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი უსაფრთხოების უფლება.[27]

საგრძნობლად იმატა სელექციური (სქესის გამო) აბორტების რიცხვმა ბოლო წლებში, საშუალოდ წლის განმავლობაში სელექციური აბორტის მსხვერპლია 1000 დან 1500 - მდე ბავშვი, ესაა დაკანონებული მკვლელობა, ბავშვის სიცოცხლე და სიცოცხლის უფლება უხეშად ირღვევა, როდესაც

[24] ლ.იზორია,კ.კორკელია.კ.კუბლაშვილი. გ.ხუბუა (2005) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი. თბილისი: „მერიდიანი“. გვ. 5

[25] კორკელია კონსტანტინე (2010). როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით. თბილისი: GTZ. გვ.96

[26] ლევინი რ. ადამიანის უფლებები კითხვები და პასუხები, თბილისი, 1997/იუნესკო. გვ. 7- 8

[27] ლევინი რ. ადამიანის უფლებები კითხვები და პასუხები, თბილისი, 1997/იუნესკო. გვ.18,19.

ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე დაშვებულია აბორტი ეს, იმ დროს, როდესაც ათასობით მშვილებელი ელოდება საკუთარ რიგს რათა გახდეს დედა. აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე დაწესებულ იქნას შეზღუდვა იგივე სქესის არ გამხელის ან აბორტის აკრძალვის გარდა ჯანმრთელობის პრობლების და საპატიო მიზეზისა, თუ აღნიშნული რეგულაცია დაწესდება ვფიქრობთ, რომ გადარჩენილ ბავშვთა ნაწილი სამომავლოდ შეიძლება მოხვდეს გასაშვილებელი სტატუსის მქონე ბავშვთა რიგებში, და მათ, ვისაც ასე სურთ გახდნენ მშობლები, მიეცეთ შესაძლებლობა აღზარდონ ბავშვები და შექმნან მყარი ოჯახები, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში, უშვილობის პრობლემა ხდება მიზეზი ოჯახების დანგრევის. აბორტის საკითხის ირგვლივ რეგულაციების დანერგვა, გარდა მშვილებელთა რიგის შემცირებისა და ბავშვების სიცოცხლის გადარჩენისა მოაგვარებდა შობადობასთან კლებასთან დაკავშირებულ დემოგრაფიულ პრობლემებს.

შედის თუ არა ამ უფლებების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მოვალეობებში? აღნიშნული შეკითხვით მივმართეთ სასულიერო პირებს, მიკერძოებულობის თავიდან ასაცილებლად გამოვკითხეთ არა მარტო მართლმადიდებელი ეკლესის მოძღვარი, არამედ თეოლოგი ისლამის საკითხებში:

მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარი განმარტავს, რომ „აბორტი ყოვლად დაუშვებელია, რადგან მას გააჩნია სული და დაუშვებელია მისი ხელყოფა, სამართლიანად მიიჩნევს აკრძალვის ან რეგულაციების არსებობას რადგან თუ კი ადამიანი თავად ვერ აცნობიერებს ქმედების დანაშაულებრიობას, ასეთ ადამიანებს სჭირდება სჯულის კანონი ანუ აკრძალვა რომ ადამიანმა თავი შეკავოს ამა თუ იმ ქმედებებისგან, მისი თქმით შვილი, რომ სხვამ მოუკლას ადამიანს იგი მტრად გადაეკიდება მკვლელს და სამარემდე ჩაყვება და ამ დროს საკუთარი ნებით კლავ საკუთარ შვილს ასეთი ადამინი არის ურწმუნო და უსიყვარულო ადამიანი რომელმაც თავისი სისხლი და ხორცი არ დაინდო,რაც შეეხება შვილად აყვანას მისი მოსაზრებით ნამდვილად არის ეს დიდი სიკეთე

თუმცა მაინც ღვთის ნების საწინააღმდეგო ქმედებად თვლის როგორც სუროგაციას „

დაახლოებით იგივე მოსაზრებაა ისლამის მიმდევართა შორის, ისლამის საკითხების მცოდნე თეოლოგი ნოდარ დავითაძე აღნიშნავს, რომ მათთანაც არის აზრთა სხვასაცხვაობა, თუმცა მუსლიმთა უმეტესობა აბორტს დიდ ცოდვად მიიჩნევს, ვინაიდან დედის მუცლად მყოფ ნაყოფს აქვს სული და იგი განვითარების ეტაპებს გადის.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, ის, რომ აბორტის ირგვლივ გარკვეული შეზრუდვები ბევრ პრობლემას მოაგვარებდა ერთბაშად, და რაც ყველაზე მთავარია ადამიანის უზენაესი უფლება „სიცოცხლის უფლება“ იქნებოდა გარანტირებული. მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარი ხაზსს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტზე, რეაგირება მყისიერია და დაინტერესებაც მაღალია, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების და, სამწუხაროდ მიიჩნევს, იმას, რომ იგივე „მოძალადე დედისგან“ ჩანასახს არავინ იცავს, და სახელმწიფოს როლი ამ მხრივ დასუსტებულია, მისი თქმით სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს სხვადასხვა პირობების შექმნით, მიეცეთ შესაძლებლობა ნორმალურ პირობებში დაბადონ ნაყოფი და ამის შემდგომ მათი არჩევანია ის, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ.აღზრდიან თუ დატოვებენ, თუმცა ყველა შემთხვევაში „ადამიანის სიცოცხლე იქნებოდა დაცული.

მომავლისაკენ კაცობრიობის მსვლელობის ხანგრძლივ გზაზე, რა შეძლება იყოს ჩვენთვის იმაზე უფრო ძვირფასი, ვიდრე ადამიანის უფლებების უზრუნველყობა და მათთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭება,[28]

[28] „კითხვები და პასუხები - ადამიანის უფლებები“ - ლია ლევინი. თბილისი 1997იუნესკო

თავი IV. შვილად აყვანის პროცედურა ქართულ თანამედროვე სამართალში

4.1. გადაწყვეტილების რეგისტრაცია:

თუ საქართველოს მოქალაქეს სურს, რომ ბავშვი შვილად აიყვანოს, უნდა მივიდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში ფაქტობრივი საცხოვრებლის მიხედვით და დაწეროს განცხადება-მოთხოვნა. ადგილზე ივსება სპეციალური ფორმა იმის თაობაზე, თუ რა მოთხოვნები აქვს მშვილებელს, ანუ რა ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეროვნების მქონე ბავშვი სურს რომ იშვილოს და ა.შ. ამის შემდეგ სოციალური მუშაკი დაიწყებს შვილად აყვანის მსურველის შესწავლა-შეფასებას. ძირითადად ფასდება პოტენციური მშვილებლის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური მდგომარეობა. თუ დასკვნა დადებითი იქნება, ანუ მშვილებელი დააკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მას რიგში დაარეგისტრირებენ.

რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ უპირატესობებს, ამ უპირატესობებით სარგებლობენ ის ადამიანები, რომელსაც შვილად აჰყავთ ნათესავი და ეს ნათესაური კავშირი დასტურდება დოკუმენტურად. ასეთი ნათესავების ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, განსაზღვრული და ჩამოთვლილია კანონში.
ასევე უპირატესობით სარგებლობენ ის ადამიანები, ვისაც გერი აჰყავთ შვილად და ისინიც, რომლებსაც ბავშვის მიმტოვებელი დედა უთითებს, როგორც პოტენციურ მშვილებელს.
გარდა ამისა, უპირატესი უფლებით სარგებლობენ ის ოჯახები, რომლებთანაც ექვს თვეზე მეტხანს იცხოვრა „მინდობით აღზრდაში მყოფმა“, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე ბავშვმა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ოჯახს ბავშვის შვილად აყვანის სურვილი არ აქვს, ბავშვი შვილდება რიგის მიხედვით.
ხშირად ისეც ხდება, რომ ბავშვი მოგვიანებით ავლენს ინტერესს იმ ოჯახისადმი, რომელშიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იზრდებოდა. ამიტომ, სწორედ მისი ინტერესიდან გამომდინარე, ხდება ოჯახისთვის მისი მიშვილება.

4.2. შვილად აყვანის გაუქმება / ბათილად ცნობა:

ერთ-ერთი მნიშნვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება შვილად აყვანის ინსტიტუტს, არის შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა.შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა ხდება ორი გზით. ესენია: **შვილად აყვანის გაუქმება და შვილად აყვანის გაბათილება.**

შვილად აყვანის გაუქმება ნიშნავს შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას, რაც ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო წარმოების განახლებას. შვილად აყვანის გაბათილება კი ნიშნავს მის აღიარებას ისეთ ფაქტად, რომელსაც არავითარი უფლება-მოვალეობა არავის მიმართ არ წარმოუშვია.შვილად აყვანის გაბათილება ხდება კანონით განსაზღვრულისაფუძვლების არსებობისას.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ლოგიკურად იწვევს შვილად აყვანის გაბათილებას.ამ გაგებით, შვილად აყვანის გაუქმება და გაბათილებათითქმის იდენტური ცნებებია. მათ სხვადასხვა სამართლებრივი საფძვლები გააჩნია, ხოლო საბოლოო შედეგები ერთნაირი აქვთ. ორივე იწვევს შვილად აყვანის შეწყვეტას.[29] „შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავი არეგულირებს შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათილობის პროცესუალურ საკითხებს, თუმცა ნაშრომში გამოკვეთილი პრობლემები, სწორედ შვილად აყვანისა და ბათილობის საკითხზეც მოქმედებს, ვინაიდან არის რიგი საკითხები, რომლებიც შვილად აყვანისა და ბათილობის დროს გასათვალისწინებელია, მაგალითად შვილად აყვანის გაუქმების საფუძველია მშვილებლების მიერ საკუთარი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება და აშშ, ეს და სხვა ამდაგვარი საკითხები საჭიროებს ინფორმირებულობას, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უნდა იყოს ინფორმირებული გაშვილებული ბავშვების სოციალური პირობების შესახებ და ამისათვის საჭიროა გარკვეული საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება.

დასკვნა და რეკომენდაციები:

როგორც უკვე ავღნიშნეთ, შვილობა, როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში, თანამედროვე სამყაროს დიდ და მოუგვარებელ პრობლემად იქცა, წინამდებარე კვლევაში განხილული საკითხებისა და ჩატარებული სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, ცალსახად უნდა ითქვას, რომ საქართველოში შვილად აყვანის საკითხი საკმაოდ პრობლემატურია,

[29] ჩიკვაშვილი შ. (1999) საოჯახო სამართალი. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: „მერიდიანი“. გვ281

პრობლემის არსს კი წარმოადგენს ამ ინსტიტუტის სამართლებრივ რეგულაციაში არსებული ხარვეზები.

საჭიროა, რომ შვილად აყვანას მეტი ყურადღება მიექცეს გამომდინარე იქიდან, რომ ამ სამართლებრივი ურთიერთობის მიზანი ბავშვებისთვის ოჯახური გარემოს შექმნაა. ქართული კანონმდებლობის განხილვისას გამოჩნდა, რომ ბავშვისთვის გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით უფრო ლიბერალური მიდგომის არსებობა, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს უფრო მეტი ბავშვი გააშვილოს და შესაბამისად, განხორციელდეს მათი ოჯახში აღზრდის უპირატესი უფლება. აქ პირველ რიგში იგულისხმევა იმ შეზღუდვების მოხსნა (შეზღუდვები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში განხილულია) , რაც აჭიანურებს და ხშირად შეუძლებელსაც ხდის ბავშვისთვის გასაშვილებელ ბავშვთა სტატუსის მინიჭებას, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშვილებელთა და გასაშვილებელ ბავშვთა რეესტრის არსებობა ვერ იძლევა სასურველ შედეგს.

შვილად აყვანის პროცესში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე ბავშვთა რაოდენობა, სწორედ ესაა ის უდიდესი პრობლემა, რაც შვილად აყვანის უსაშველო როგში მყოფ წყვილებს/პირებს აწუხებთ. პრობლემა, რომელიც ასე თვალნათელია მაგრამ, სახელმწიფოს ძალისხმევა ნაკლებია აღნიშნული საკითხის მოგვარების საქმეში. საკანონმდებლო ნორმები არსებით ცვლილებებს საჭიროებენ და თითოეული შემთხვევა სასურველია განხილულ იყოს ინდივიდუალურად, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით და არა წინასწარ გაწერილი საკანონმდებლო ჩარჩოების მიხედვით, თუ ეს უარყოფითად აისახება ბავშვის ფსიქო - სოციალურ მდგომარეობაზე

ზემოთ ხსენებული პრობლემების განხილვისას გამოიკვეთა ძირეული პრობლემა, კერძოდ აბორტების რაოდენობის ზრდა საქართველოში, რაც უდიდეს პრობლემას წარმოადგენს, როგორც დემოგრაფიული ვითარების გაუარესების ასევე შვილად აყვანის რიგში რეგისტრირებულ პირთა შედეგებთან მიმართებით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, ყოველ

საათში 8 (რვა) ქალი კვდება არარეგალური აბორტების შედეგად, წლიურად ეს მაჩვენებელი 68 000 (სამოცდარვა ათასი) გარდაცვლილ ქალს ითვლის.

შვილობა, როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში, თანამედროვე სამყაროს დიდ პრობლემად იქცა, უშვილობის ზრდის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს, თუმცა ყველა კვლევა ცხადყოფს, რომ ეს პრობლემა უფრო და უფრო მეტ ადამიანს აწუხებს და საჭიროა განხორციელდეს გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც შვილების პროცესში ასევე მის შემდგომ, კონტროლის მექანიზმის სახით.

ბიბლიოგრაფია:

1. ჩიკვაშვილი შ. (1999) საოჯახო სამართალი. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: „მერიდიანი“.
2. რ. შენგელია, ე. შენგელია (2017) საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი - თეორია და პრაქტიკა (მეორე გამოცემა) თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
3. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (2018) (2018 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით) თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“.
4. ახვლედიანი ზ. (1988) მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი) თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“
5. კუხიანიძე ქ. შვილად აყვანის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა ძველ რომში და მისი სამართლებრივი რეგულირება ძველ ქართულ სამართალში.

6. სამეცნიერო სტატია (2014) ფაქტობრივი ცნობა „შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში“ სტატიის ავტორი: ნინო კალანდაძე.
7. ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია (ჰააგა, 1993) XVII სესია, შემაჯამებელი აქტი (ამონაკრები).
8. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1245 (2018) (2018 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით) თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (2000) წიგნი V. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“.
10. ლ.იზორია,კ.კორკელია.კ.კუბლაშვილი.გ.ხუბუა (2005) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი. თბილისი: „მერიდიანი“.
11. ბავშვთა უფლებათა კონვენცია (1989) 20 ნოემბერი ძალაში შევიდა 02/09/1990.
12. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ“ (20.09.2018)
13. სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების „შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ მე - 18 მუხლის მე - 7 ნაწილი.
14. სამოქალაქო კოდექსი 1997 წლის 26 ივნისი; ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან.
15. რუდოლფ ფონ იერინგი (2000). ბრძოლა უფლებისათვის. თბილისი: “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.
16. კორკელია კონსტანტინე (2010). როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით. თბილისი: GTZ.
17. ლევინი რ. ადამიანის უფლებები კითხვები და პასუხები, თბილისი, 1997/იუნესკო.
18. „კითხვები და პასუხები - ადამიანის უფლებები“ - ლია ლევინი. თბილისი 1997იუნესკო